



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55

„04“ აგვისტო 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარე - ზაზა ზაზაშვილზე ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარეს - ზაზა ზაზაშვილს დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით და სანიმუშო შესრულებისთვის მიეცეს ფულადი ჯილდო 1350 ლარის ოდენობით.
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი